სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს 2020 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დებულებების შესრულების თაობაზე

1. 2020 წლის საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 9 დეკემბრამდე პერიოდს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) რეგისტრირებულია სულ 37 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით სააგენტოსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სააგენტოს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა;
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 37 შემთხვევაში. გადაწყვეტილება, თითოეულ შემთხვევაში, მიღებულ იქნა სააგენტოს ხელმძღვანელის - რევაზ ჩარკვიანის მიერ. გამომდინარე იქიდან რომ სააგენტო არ არის კოლეგიური საჯარო დაწესებულება, სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია;
3. პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა დ გაცემისას, სააგენტო ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა, შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევა არ არსებობს.
5. საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სააგენტოს არ ჰქონია.